



ქართული ფორუმი

N132

29 სექტემბერი 2016წ.

ტელეკომპანია „ოდიშის“ გენერალურ
დირექტორს ბატონ დავით გრიგოლიას

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით, თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს. მკვ „ეროვნული ფორუმი“ წარმოადგეს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებში და წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებს მთელი საქართველოს მასშტაბით, მიუხედავად იმისა, ყავს თუ არა რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატი კონკრეტულ საარჩევნო ოლქში. შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ავალდებულებს თქვენს ტელეკომპანიას, წინასაარჩევნო კამპანია გააშუქოს არადისკრიმინაციულად და წინასაარჩევნო დებატები გადასცეს ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით. მკვ „ეროვნული ფორუმისათვის“ ამ დებატებში მონაწილეობაზე უარის თქმა და შესაბამისად, ამით მის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის ხელის შეშლა, წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევას და იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, რომელიც დაეკისრება თქვენს ტელეკომპანიას. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციასთან, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასა და ინფორმაციის გადაცემასთან ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა – გამოიწვევს ელექტრონული მედიის საშუალების დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ არ დაარღვიოთ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლი. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დარღვევის შესახებ ეცნობება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც მიიღებს შესაბამის ზომებს.

მკვ „ეროვნული ფორუმი“-ს
აღმასრულებელი მდივანი



[Handwritten signature]

გოჩა ჯაბიძე